MASTER RETAIL GEORGIA L.L.C.

a subsidiary of ALHOKAIR الحكير

შპს **Master Retail Georgia**

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის **31** მარტი

შპს **Master Retail Georgia**

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2020 წლის 31 მარტის მდგომარეობით
(თანხები წარმოდგენილია '000 ლარი)

	31 მარტი 2019	31 მარტი 2020
ფულადი სახრები	346	196
სავაჭრო მოთხოვნები	864	1,041
Retail Group Georgia-ს სხვა კომპანიებისაგან მისაღები თანხები	12,622	13,846
შვილობილი კომპანიის გაყიდვიდან მისაღები თახები	-	-
მიმდინარე საგადასახადო აქტივი	(49)	(49)
მარაგები	3,105	5,852
სულ მოკლევადიანი აქტივები	**16,888**	**20,886**
ძირითადი საშუალებები	2,265	4,316
Right of Use Asset (IFRS 16)	-	10,025
არამატერიალური აქტივები	-	-
სულ მოკლევადიანი აქტივები	**2,265**	**14,341**
სულ აქტივები	**19,153**	**35,227**
მიღებული ავანსები	-	-
სავაჭრო ვალდებულებები	996	1,025
მოკლევადიანი ფინანსური იჯარა	-	1,352
ვალდებულებები თანამშრომელთა წინაშე	-	-
გადასახდელი გადასახადები	-	-
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	-	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	**996**	**2,377**
Retail Group Georgia-ს სხვა კომპანიებისთვის გადასახდელი თანხები	-	-
გრძელვადიანი ფინანსური იჯარა	-	8,891
გრძელვადიანი სესხები		
გადასახდელი დივიდენდები	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	**-**	**8,891**
კაპიტალის სხვა ელემენტი	3,177	3,177
აკუმულირებული მოგება	14,980	20,782
სულ კაპიტალი	**18,157**	**23,959**
სულ ვალდეულებები და კაპიტალი	**19,153**	**35,227**

ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილია 2020 წლის 31 დეკემბერს:

ფიქრია გვიშიანი
ფინანსური მენეჯერი

Pikria Gvishiani

Digitally signed by Pikria Gvishiani
Date: 2021.03.24 17:36:52 +04'00'

შპს **Master Retail Georgia**

სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება
2020 წლის 31 მარტის მდგომარეობით
(თანხები წარმოდგენილია '000 ლარი)

	31 მარტი 2019	31 მარტი 2020
შემოსავლები		
შემოსავალი ადგილობრივი გაყიდვებიდან	17,069	21,406
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(10,549)	(11,704)
საერთო მოგება	**6,520**	**9,702**
ხარჯები		
მარკეტინგის და მიწოდების ხარჯები	(264)	(296)
ადმინისტრაციული ხარჯები	(2,968)	(3,458)
სხვა ხარჯები	(802)	327
საოპერაციო ხარჯები ცვეთისა და პროცენტის გარდა	**(4,034)**	**(3,427)**
მოგება პროცენტამდე, გადასახადებამდე და ცვეთამდე (EBITDA)	**2,486**	**6,275**
ცვეთა და ამორტიზაცია		
ᲛᲝᲒᲔᲑᲐ ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲐᲛᲓᲔ ᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲐᲓᲔᲑᲐᲛᲓᲔ (EBIT)	**2,486**	**6,275**
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	67	(541)
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	18	68
სულ ფინანსური ხარჯები	**85**	**(473)**
მოგება მოგების გადასახადამდე	**2,571**	**5,802**
მოგების გადასახადი	(20)	-
წმინდა მოგება	**2,551**	**5,802**
დაგროვილი მოგება / (ზარალი) წლის დასაწყისში		
დივიდენდები		
დაგროვილი მოგება წლის ბოლოს	**2,551**	**5,802**

ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილია 2020 წლის 31 დეკემბერს:

ფიქრია გვიშიანი
ფინანსური მენეჯერი

შპს **Master Retail Georgia**

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2020 წლის 31 მარტის მდგომარეობით
შპს Master Retail Georgia

	31 მარტი 2019	31 მარტი 2020
ფულადი სახსრების მოძრაობა		
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(552)	(218)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(134)	
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-	-
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	**(686)**	**(218)**
სავალუტო კურსის ეფექტი	-	68
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	1,032	346
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	**346**	**196**

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1 ძირითადი ინფორმაცია და საქმიანობა

შპს “Master Retail Georgia” არსებობს 2011 წლის ივლისიდან. კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია შპს “Retail Group Georgia LLC”, რომელიც მდებარეობს თბილისში, საქართველოში. კომპანიის მთავარ საქმიანობას წარმოადგენს Massimo Dutti-ს ბრენდის ტანსაცმლითა და აქსესუარებით საცალო ვაჭრობა თბილისის სავაჭრო ცენტრებსა და მოლებში.
კომპანის რეგისტრირებული იურიდიული მისამართია: ძველი თბილისის რაიონი, თელავის ქ. #20, თბილისი, საქართველო.
კომპანიის ოფისის მისამართია: ქეთევან წამებულის გამზირი 50/18, თბილისი, საქართველო.

2 მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა იმ ფინანსური ინსტრუმენტებისა, რომლებიც წარმოდგენილია მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე დისკონტირებული ღირებულებით.

2.1 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან ეს ვალუტა ყველაზე კარგად ასახავს კომპანიის ეკონომიკურ მდგომარეობას, მის გარშემო არსებულ სიტუაციას და განხორციელებულ გარიგებებს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში (წინააღმდეგ შემთხვევაში აღვნიშნავთ), ვინაიდან მენეჯმენტის აზრით, ეს ვალუტა უფრო მისაღებია ამ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლისთვის. ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ათას ლარამდე.

2.3 ახალი და შესწორებული სტანდარტების ათვისება

კომპანიამ ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოიყენა ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტირების საერთაშორისო კომიტეტის მიერ გამოშვებული ყველა ის ახალი ან გადახედილი ფასს და ფასს-ის ინტერპრეტაცია, რომელიც გამოსაყენებლად სავალდებულოა 2019 წლის 1 აპრილს დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისათვის.

ამ ცვლილებების გავლენა და ბუნება განხილულია ქვემოთ.

ფასს 16 იჯარა

ფასს 16 იჯარა ანაცვლებს ბასს 17 იჯარას, სამ ინტერპრეტაციასთან ერთად (ფასიკ 4 „როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“, იმკ 15„საოპერაციო იჯარა - სტიმულირება“ და იმკ 27 „გარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“).

ახალი სტანდარტის მიღებამ კომპანიაში გამოიწვია აქტივის გამოყენების უფლების და მასთან დაკავშირებული საიჯარო ვალდებულების აღიარება ყველა წინანდელ საოპერაციო იჯარასთან მიმართებაში, გარდა იმ იჯარებისა, რომელთაც აქვთ დაბალი ღირებულება, ან 12 თვეზე ნაკლები ნარჩენი ღირებულება იჯარის წამოწყების თარიღისთვის.

ახალი სტანდარტი გამოყენებული იქნა რეტროსპექციული მიდგომით, ფასს 16-ის პირველად გამოყენებით გამოწვეული კუმულაციური ეფექტის აღიარებით კაპიტალში, როგორც გაუნაწილებელი მოგების საწყისი ნაშთის კორექტირება, სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის. სტანდარტი არ გავრცელებულა წინა პერიოდებზე.

ახალ სტანდარტს გავლენას არ მოუხდენია კომპანიის გაუნაწილებელი მოგების საწყის ნაშთებზე.

სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის გაფორმებული კონტრაქტებისთვის, კომპანიამ გადაწყვიტა, გამოეყენებინა იჯარის განსაზღვრება ბასს 17-ისა და ფასიკ 4-ის მიხედვით და არ გამოიყენა ფასს 16 იმ გარიგებებისთვის, რომლებიც თავდაპირველად არ იყო აღიარებული, როგორც იჯარა ბასს 17-ისა და ფასიკ 4-ის მიხედვით.

კომპანიამ გადაწყვიტა, რომ არ ჩაერთო საწყისი პირდაპირი დანახარჯები იმ აქტივების გამოყენების უფლების შეფასებაში, რომლებსაც კომპანია ფლობს საოპერაციო იჯარისთვის ფასს 16-ის ათვისების თარიღის - 2019 წლის 1-ლი იანვრისთვის. ამ თარიღისთვის, კომპანიამ ასევე აირჩია აქტივების გამოყენების უფლების შეფასება საიჯარო ვალდებულიბის ტოლი ოდენობით, დაკორექტირებული წინასწარ გადახდილი, ან დარიცხული საიჯარო გადასახდელებით, რომლებიც არსებობდა ოპერაციის თარიღისთვის.

აქტივის გამოყენების უფლებაზე, პირველადი გამოყენების თარიღისთვის არსებული გაუფასურების შემოწმების ნაცვლად, კომპანია დაეყრდნო თავის ისტორიულ შეფასებებს იმის შესახებ, ჰქონდა თუ არა იჯარას დიდი გავლენა ფას 16-ის პირველადი გამოყენების თარიღამდე.

იჯარისთვის, რომელიც წინათ ბასს 17-ის შესაბამისად კლასიფიცირებული იყო ფინანსურ იჯარად, სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის აქტივის გამოყენების უფლებისა და საიჯარო ვალდებულების საბალანსო ღირებულება იქნება საიჯარო აქტივისა და საიჯარო ვალდებულების საბალანსო ღირებულება, რომელიც მათ ჰქონდა უშუალოდ ბასს 17-ის გამოყენებით შეფასებამდე.

ფასს 16-ზე გადასვლისას, საშუალო შეწონილი დამატებითი სასესხო განაკვეთი, ფასს 16-ით განსასზღვრულ საიჯარო ვალდებულებებთან მიმართებით იყო 5.70%.

3 ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა

3.1 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში საანგარიშგებო ვალუტაში (ლარი) გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული კურსით, რომელიც 2020 წლის 31 მარტს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 3.2845 ლარს და ერთი ევრო შეადგენს 3.6363 ლარს (2019 წლის 31 მარტი: ერთი ამერიკული დოლარი 2.6914 ლარი და ერთი ევრო 3.0203 ლარი). არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლოს კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ტრანზაქციის განხორციელების დღის კურსით), გარდა სამართლიანი ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი სამართლიანი ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.2 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარდგენილია დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შემცირებული თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, საიმპორტო გადასახადებს, სხვა არადაბრუნებად გადასახადებსა და შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ სხვა ხარჯებს. როდესაც ძირითადი საშუალება შედგება რამოდენიმე არსებითი კომპონენტისაგან, რომლებსაც სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, მაშინ ასეთი კომპონენტები აღირიცხებიან ცალკ-ცალკე ძირითად საშუალებებად.

მოგება, ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ხარჯები დაკავშირებული იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობასთან კაპიტალიზირდება ცალკე აქტივად და იცვითება აქტივის სასიცოცხლო მომსახურების ვადასა და საიჯარო ხელშეკრულების ვადას შორის უმცირესით.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

ავეჯი - 10-12.5%
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა - 12.5%
კომპიუტერები და საოფისე აღჭურვილობა - 10-12.5%.

3.3 ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

აქტივებს, რომლებსაც აქვთ განუსაზღვრელი სასიცოცხლო ვადა, არ ერიცხება ამორტიზაცია და ხდება მათი ყოველწლიური გაუფასურების შეფასება, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აისახება, იმ თანხით რა თანხითაც, აქტივის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას.

ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება, როგორც უდიდესი აქტივის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებასა და მის გამოყენების ღირებულებას შორის. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული შეფასებულია საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებად, მაშინ აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის ხარჯად აღიარება ხდება დაუყოვნებლივ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აქტივი გადაფასებული თანხით აისახება, ამ შემთხვევაში გაუფასურების ზარალი უნდა აღირიცხოს როგორც გადაფასების შემცირება.

იმ შემთხვევაში, როცა ხდება გაუფასურების ზარალის კომპენსირება, აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება იზრდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ უნდა აჭარბებდეს საბალანსო ღირებულებას, რომელიც განსაზღვრული იქნებოდა წინა პერიოდიში აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაუფასურების არ ქონის შემთხვევაში. გაუფასურების შებრუნება დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივი გადაფასებულია, რა შემთხვევაშიც ნებისმიერი გაუფასურების ზარალის კომპენსირება აღირიცხება როგორც გადაფასების ზრდა.

3.4 იჯარა

როგორც აღწერილია შენიშვნა 2.3-ში, კომპანიამ გამოიყენა ფასს 16 შეცვლილი რეტროსპექტული მიდგომით, შესაბამისად, შესადარისი ინფორმაცია ხელახლა არ შეფასებულა . ეს ნიშნავს, რომ შესადარისი ინფორმაცია კვლავ ბასს 17-ისა და ფასიკ 4 შესაბამისადაა წარდგენილი.

სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან

კომპანია, როგორც მოიჯარე

ნებისმიერი ახალი კონტრაქტისთვის, რომელიც გაფორმებულია 2019 წლის 1 იანვარს, ან მის შემდეგ, კომპანია განიხილავს არის თუ არა, ან შეიცავს, თუ არა ხელშეკრულება იჯარას. იჯარა განიმარტება, როგორც "ხელშეკრულება, ან ხელშეკრულების ნაწილი, რომლის თანახმად სხვა მხარეს გადაეცემა აქტივის (საიჯარო აქტივის) გამოყენების უფლება გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ." ამ განმარტების თანახმად, კომპანია აფასებს, აკმაყოფილებს თუ არა ხელშეკრულება შემდეგ სამ მთავარ შეფასების კრიტერიუმს:

- შეიცავს თუ არა კონტრაქტი იდენტიფიცირებად აქტივს, რომელიც პირდაპირ არის განსაზღვრული ხელშეკრულებაში, ან არაპირდაპირი გზით ხდება აქტივის იდენტიფიცირება იმ მომენტში, როდესაც აქტივი გამოყენებისთვის ხელმისაწვდომი ხდება ჯკომპანიისათვის.
- აქვს თუ არა კომპანიას ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან პრაქტიკულად მთელი სარგებლის მიღების უფლება გამოყენების პერიოდის განმავლობაში, ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლებების ფარგლებში.

- აქვს თუ არა კომპანიას უფლება განსაზღვროს აქტივის გამოყენების წესი. განსაზღვროს აქვს თუ არა უფლება გადაწყვიტოს „როგორ და რა მიზნით“ გამოიყენოს აქტივი მთლიანი ფლობის პერიოდის განმავლობაში.

მოიჯარის მიერ იჯარის შეფასება და აღიარება

იჯარის დაწყების თარიღისათვის კომპანია აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებასა და საიჯარო ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. აქტივის გამოყენების უფლება განისაზღვრება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას, კომპანიის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს, იჯარის ბოლოს აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციისთვის გასაწევ ხარჯებსა და იჯარის წამოწყების თარიღისთვის გადახდილ ავანსებს (ყველა მიღებული წამახალისებელი გადახდების გამოკლებით).

კომპანია აქტივებისთვის, გამოყენების უფლებით, იყენებს ცეთის წრფივ მეთოდს იჯარის წამოწყების თარიღიდან, შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი. კომპანია ასევე აფასებს აქტივის გამოყენების უფლების გაუფასურებას, როდესაც ასეთი ინდიკატორი არსებობს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია საიჯარო ვალდებულებას აფასებს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად შეიძლება, ან გამოიყენოს კომპანიის ზღვრული სასესხო განაკვეთი.

საიჯარო გადახდები, რომლებიც გაითვალისწინება საიჯარო ვალდებულების შეფასებაში, მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის, არსებითად ფიქსირებულ გადახდებს), ინდექსზე ან განაკვეთზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს, თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით და უფლებებით წარმოშობილ გადახდებს, რომლებსაც თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ გამოიყენებენ.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეამციროს განხორციელებული საიჯარო გადახდებით და გაზარდოს პროცენტის ასახვით. შეფასება ხდება ხელახლა, რათა აისახოს შეფასების შედეგი, ან იჯარის მოდიფიკაციები, ან გადასინჯული არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადახდები.

საიჯარო ვალდებულების გადაფასების შემდეგ, შესაბამისი კორექტირება აისახება აქტივის გამოყენების უფლებაზე, ან მოგება/ზარალზე, თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე.

კომპანიამ გადაწყვიტა აღრიცხოს მოკლევადიანი იჯარა და დაბალი ღირებულების მქონე იჯარა პრაქტიკული ექსპედიციის გამოყენებით. აქტივის გამოყენების უფლებისა და საიჯარო ვალდებულების აღიარების ნაცვლად, იჯარასთან დაკავშირებული გადახდები აღიარდება ხარჯად მოგება/ზარალში წრფივი მეთოდით, იჯარის პერიოდის განმავლობაში.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივების გაოყენების უფლება წარმოდგენილია განცალკევებით, ასევე საიჯარო ვალდებულებაც წარდგენილია ცალკე.

კომპანია, როგორც მეიჯარე

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა ფასს 16-ის მიხედვით, არ შეცვილა შესადარის პერიოდებში. კომპანია, როგორც მეიჯარე, გამოყოფს იჯარის ორ კლასს - საოპერაციო ან ფინანსურ იჯარებს. იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუკი იგი გადასცემს არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს განსაზღვრული აქტივის მფლობელს, ხოლო თუ არ გადასცემს, მაშინ იგი კლასიფიცირდება, როგორც საოპერაციო იჯარა.
სააღრიცხვო პოლიტიკა , რომელიც ძალაშია 2019 წლის 1 იანვრამდე.

კომპანია, როგორც მოიჯარე

ფინანსური იჯარა

მენეჯმენტი იყენებს მსჯელობას საიჯარო ხელშეკრულების არსის განხილვისას და გადასცემს თუ არა იგი საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული პრაქტიკულად ყველა რისკსა და სარგებელს. განხილული ძირითადი ფაქტორები მოიცავს საიჯარო პერიოდის ხანგრძლივობას აქტივის ეკონომიკურ მომსახურების ვადასთან მიმართებაში, მინიმალური საიჯარო გადასახდელების ახლანდელ ღირებულებას აქტივის სამართლიან ღირებულებასთან მიმართებაში და გადადის თუ არა მფლობელობა კომპანიაზე იჯარის ვადის ამოწურვის შემდეგ.

როდესაც იჯარა მოიცავს მიწას და შენობა-ნაგებობებს, იჯარის მინიმალური გადასახადები პირველად გამოიყოფა თითოეულ კომპონენტზე შესაბამისი საიჯარო პროცენტის სამართლიანი ღირებულების საფუძველზე. შემდეგ, თითოეული კომპონენტი ფასდება ცალ-ცალკე, როგორც განსასაზღვრი ფაქტორი, მიეკუთვნება თუ არა იგი ფინანსური იჯარის ნაწილს,იმის გათვალისწინებით, რომ მიწას, როგორც წესი, განუსაზღვრელი ეკონომიკური მომსახურების ვადა აქვს.

ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივების ცვეთის მეთოდებისა და სასარგებლო მომსახურების ვადების შესახებ ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 0.

საიჯარო გადახდების საპროცენტო ელემენტი ხვდება მოგება/ზარალში, როგორც ფინანსური ხარჯები იჯარის ვადის განმავლობაში.

საოპერაციო იჯარა

ყველა სხვა იჯარა განიხილება როგორც საოპერაციო იჯარა. თუ კომპანია მოიჯარეა, გადახდები საოპერაციო იჯარაზე აღიარდება, როგორც ხარჯი, წრფივი მეთოდით, იჯარის პერიოდის განმავლობაში. მასთან დაკავშირებული ხარჯები, როგორებიცაა მომსახურებისა და დაზღვევის, აღიარდება გაწეულ ხარჯებად.

3.5 სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები არის აქტივები რომლებიც განკუთვნილია მომხმარებელზე გასაყიდად, წარმოების პროცესში გამოსაყენებლად ან მომხმარებლისთვის მომსახურების გასაწევად. სასაქონლო მატერიალური მარაგები ასევე მოიცავს სათადარიგო ნაწილებს, სარეზერვო ტექნიკასა და მომსახურების გასაწევ ტექნიკას თუ ისინი არ შეესაბამებიან ძირითადი საშუალებების განმარტებას.

სასაქონლო მატერიალური მარაგები წარმოდგენილია საბალანსო ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში რეალიზაციისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სავარაუდო

გასაყიდი ფასია. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და მის ადგილზე მიტანასთან.

3.6 ფინანსური ინსტუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება და აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალადებულება აღიარდება მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტუმენტების შესახებ ხელშეკრულების მონაწილე.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მას შემდეგ, რაც ამოიწურება ფინანსური სარგებლის მიღების სახელშეკრულებო უფლება, ან როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკის მნიშვნელოვანი წილი გადადის სხვა მხარეზე.

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრულდება, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომში ისინი წარედგინება ამორტიზირებული ღირებულებით.

3.7 ფული და საბანკო ანგარიშები

ნაღდი ფული და მისი ექვივალენტები მოიცავს ფულს ხელზე, საბანკო ანგარიშებზე და ფული გზაში.

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშშგების მიზნებისთვის, ფულის ექვივალენტებს წარმოადგენს ვადამდელი დეპოზიტები სხვა მოკლევადიან, მაღალლიკვიდურ ინვესტიციებთან ერთად, რომლებიც მარტივად კონვერტირებადია წინასწარ ცნობილ ფულის მოცულობებში და ატარებენ ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი ექვივალენტები ფლობილია მოკლევადიანი ფულადი ვალდებულებების დაფარვისთვის და არა საინვესტიციო, ან სხვა მიზნებისთვის. კომპანია ინვესტიციებს ანიჭებს ფულის ექვივალენტის კატეგორიას, თუკი იგი მარტივად კონვერტირებადია წინასწარ ცნობილ ფულის მოცულობებში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

3.8 კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებას.

აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს.

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადდა.

ყველა ტრანზაქცია მშობელი კომპანიის მფლობელებთან აღრიცხულია კაპიტალში დამოუკიდებლად.

3.9 შემოსავალი

შემოსავალი ძირითადად წარმოიქმნება ტანსაცმლის რეალიზაციიდან საცალო მაღაზიების ქსელის მეშვეობით, ან აქციების ხელახალი მიყიდვით საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი პირებისთვის.

იმისათვის, რომ განისაზღვროს უნდა აღიარდეს თუ არა შემოსავალი კომპანია განიხილავს 5 საფეხურიანი პროცესს

1. მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიკაცია

2. შესასრულებელი ვალდებულებების იდენტიფიკაცია

3. გარიგების ფასის განსაზღვრა

4. გარიგების ფასის განაწილება შესასრულებელ ვალდებულებაზე

5. შემოსავლის აღიარება, როდესაც ნაკისრი ვალდებულება შესრულდება

შემოსავალი აღიარდება დროის გარკვეულ პერიოდის განმავლობაში ან დროის გარკვეულ მომენტში, როდესაც კომპანია დააკმაყოფილებს შესარულებელ ვალდებულებებს, მომხმარებებლისთვის დაპირებული საქონლის ან სერვისის მიწოდებით. აქტივის გადაცემა ხდება, როდესაც მომხმარებლი მოიპოვებს ამ აქტივის კონტროლს. აქტივის კონტროლი ეხება აქტივიდან სარგებლობის და არსებითად ყველა დანარჩენი სარგებელის გამოყენების შესაძლებლობას.

კომპანია აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულებებს ანაზღაურებულად (წინასწარ ანაზღაურებულად) საკონტრაქტო შეუსრულებელი სამუშაოების მიხედვით და ამ თანხებს აფიქსირებს, როგორც სხვა ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. მსაგვსად, თუკი კომპანია შეასრულებს კონტრაქტის ვალდებულებებს, მანამ, სანამ მიიღებს ანაზღაურებას, კომპანია აღიარებს მას, ან როგორც საკონტრაქტო აქტივს, ან როგორც მოთხოვნას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში, იმის მიხედვით, არის თუ არა დრო ერთადერთი განმსაზღვრელი ფაქტრი. კომპანიას არ აქვს მომხმარებელთა ლოიალობის პროგრამები და არ აწვდის იმ საქონელსა და მომსახურებას, რომელსაც შესაძლოა ჰქონდეს დაუკმაყოფილებელი შესასრულებელი ვალდებულებები გაყიდვების მომენტის გარდა.

საქონლის გაყიდვა

შემოსავალი ფასდება მიღებული კომპენსაციის ან მოთხოვნის ოდენობით, კომპანიის მიერ ნებადართული ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლების გათვალისწინებით და აღიარდება გაყიდვის მომენტში.

შემოსავალი შემცირებულია საქონლის დაბრუნებების, ფასდაკლებებისა და სხვა მსგავსი ფასდათმობებით.